განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის სადოქტორო პროგრამა

შეფასებისთარიღ(ებ)ი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

თბილისი 2019 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინსტიტუციის სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისაჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	2113328703
დაწესებულების სახე	სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინფორმაციაუმაღლესისაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ

პროგრამის დასახელება	თსსუ სადოქტორო პროგრამა "ფარმაცია"
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდი	ფარმაციის დოქტორი (აკადემიური) 0903
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (2014 წლის 27 მაისის აკრედიტაციის გადაწყვეტილება #111, ვადა გაუვიდა 2019 წლის 27 მაისს).

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დანილო კორადინი, დოქტორი CNR ბიოლოგიური სისტემების ინსტიტუტი, მონტეროტონდო, რომი, იტალია.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნანა შაშიაშვილი, დოქტორი (წევრი) სსიპ მედიკამენტების სააგენტო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო(თბილისი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ბარათაშვილი, ექიმი (წევრი) ფარმაცევტული რეგულირების დეპარტამენტის უფროსითბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ექიმი (სტუდენტი წევრი) საგანმანათლებლო პროცესის დეპარტამენტინიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა თბილისი, საქართველო

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილი პროგრამის მიზანია თსსუ-ს მიერ მეტად პრესტიჟული სადოქტორო პროგრამის შეთავაზება, რათა აღჭურვოს ახალგაზრდა მეცნიერები საჭირო უნარებით მაღალი ხარისხის კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად უნივერსიტეტებში, საჯარო და კერძო ორგანიზაციებში. ექსპერტთა ჯგუფის წევრები სავსებით ეთანხმებიან შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის ორიენტაციას ნატურალური პროდუქტების შესწავლაზე წამლების აღმოჩენაში, რადგან საქართველო მდიდარია ამგვარი მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის წყაროებით. კერძოდ, საქართველო წარმოადგენს მცენარეული საფარის ზონების მრავალფეროვანი მოზაიკის სახლს, რაც ხელს უწყობს მცენარეთა მრავალფეროვნებას, რომელთა ნაწილი ენდემურია. მცენარეთა ეს განსაკუთრებული მრავალფეროვნება და დიდი რაოდენობით სამედიცინო მცენარეების გავრცელება, რომელიც უკვე გამოყენებატრადიციულ მედიცინაში, მოსალოდნელია, რომ გახდება მცენარეული წარმოშობის ბიოაქტიური სტრუქტურების გავრცელებასა და ფარმაკოლოგიურ აქტივობაზე კვლევების რაოდენობის გაზრდის საგანი. ამგვარი შესწავლა წარმოადგენს სიახლეების შემუშავების საფუძველს და უვნებელს ხდის ფარმაცევტულ პრეპარატებს, რასაც მოითხოვს საზოგადოება და მედიკამენტების საერთაშორისო ბაზარი. ამგვარად, სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი და ღირებული მიზანია დოქტორანტთა ჩართვა ნატურალური წარმოშობის, კერძოდ, ქართული ენდემური მცენარეებიდან მიღებული, ბიოაქტიური სტრუქტურების სფეროში კვლევითი აქტივობების სტიმულირებაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა პოზიტიურად მიიჩნიესსადოქტორო პროგრამის ეს ორიენტაცია, როგორც სამეცნიერო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ნატურალური წყაროებიდან მიღებული თერაპიული მედიკამენტები სუფთა სტრუქტურების თუ სტანდარტული ექსტრაქტების სახით, იძლევიან ახალი, უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტების შემუშავების უსაზღვრო შესაძლებლობებს.

სადოქტორო პროგრამის შესწავლამ და თსსუ-ში ადგილზე ვიზიტის შედეგებმა დაამტკიცა, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს საგულდაგულო კვლევით ტრენინგს მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, რომლებიც გადამწყვეტია ფარმაცევტულ ინდუსტრიაში თანამედროვე მეცნიერთა წარმატებისათვის. სადოქტორო პროგრამა ისწავლება უაღრესად მრავალდისციპლინურ ატმოსფეროში და დოქტორანტები მოსალოდნელია, რომ მოიპოვებენ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებებთან დაკავშირებული კვლევებისათვის, ისევე, როგორც მედიკამენტების

შემუშავებისა და მიწოდებასათვის უსაფრთხო და ეფექტიანი თერაპიისათვის. სადოქტორო პროგრამის სამი წლის განმავლობაში, სტუდენტებს ჰყავთ პერსონალური მენტორები, რომლებიც ასწავლიან მათ კვლევით თემებს, მათთვის სამეცნიერო პრობლემის დამოუკიდებლად ფორმულირების შესაძლებლობის მიცემის მიზნით, მისი მოგვარების ჰიპოთეზებისა და პროცედურების შეთავაზებით ექსპერიმენტულ თუ თეორიულ დონეზე, სადოქტორო პროგრამაში ჩართულ განსხვავებულ სფეროებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

ადგილზე ვიზიტისას მკაფიოდ გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ფარმაციაში შედგენილ იქნა ძირფესვიანი დებატების შედეგად, რაც მოიცავდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ **უნივერსიტეტის ადმინისტრაციას,თვითშეფასების გუნდს**, **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს**, **აკადემიურ პერსონალს**, **მოწვეულ პერაონალს**, **უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს**, **სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებს**, ისევე, როგორც ზოგიერთ **დამსაქმებელს, სტუდენტსა** და **კურსდამთავრებულს.** ინტერვიუებმა უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან დაადასტურა, რომ სადოქტორო პროგრამა მოიცავს რეალისტურ, მიღწევად და მკაფიოდ დადგენილ მიზნებს, რომლებიც თანხვედრაშია თსსუ-ს მისიასთან. უნტერვიუებმა, ასევე, დაადასტურა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს, პროფესიულ უნარებს და გამოცდილებას, რათა განავითარონ სტუდენტებში დაგეგმილი სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მიზნებს, სადოქტორო კურსების საერთაშორისოდ აღიარებულ განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეწვივნენ თსსუ-სობიექტებს, მათ შორის ბიბლიოთეკას, ლაბორატორიებს და საკლასო ოთახებს.ადგილზე ამ ვიზიტმა საშუალება მისცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომ დარწმუნებულიყვნენ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა საჭირო ინფრასტრუტურისა და სამეცნიერო აპარატურის ხელმისაწვდომობაში. თსსუ-ში განხორციელებულმა ტურმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა უსადენო კავშირით ინტერნეტთან, კომპიუტერული ტერმინალების დიდი რაოდენობა და ინტერნეტ-წვდომა ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებთან.

ბიბლიოთეკაში, ასევე, ხელმისაწვდომია თსსუ-ს რიგი მონაცემთაბაზები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს და თსსუ-ში დაცული სადოქტორო ნაშრომების კოლექციას. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია შეხვედრებისა და ღონისძიებების გასამასპინძლებლად. ყველა სამეცნიერო ლაბორატორია აღჭურვილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინსტრუმენტებით, საშუალებებითა და შუშის ჭურჭლით, მათ შორის სადოქტორო დისერტაციის კვლევითი პროექტის განხორციელების შესაძლებლობით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ერთხმად გამოთქვეს მოსაზრება, რომ სადოქტორო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოთხოვნილ აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან. რწმენა, რომ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან დამყარებულია სადოქტორო პროგრამის გულმოდგინედ შესწავლაზე, თვითშეფასების ანგარიშის საფუძვლიან შეფასებაზე და ადგილზე ვიზიტისას უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგებზე, რამაც შეავსო თსსუ-ს მიერ ზემოხსენებული დოკუმენტებით წარმოდგენილი ინფორმაცია.

საერთო ჯამში, სადოქტორო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლით, ინტერვიუებით უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან დამტკიცდა, რომ სადოქტორო პროგრამა მოიცავს რეალისტურ, მიღწევად და მკაფიოდ დადგენილ მიზნებს, რომლებიც თანხვედრაშია თსსუ-ს მისიასთან. უფრო მეტიც, სწავლის შედეგები თავსებადია სადოქტორო პროგრამის მიზნებთან, განათლების საერთაშორისოდ აღიარებულ დონესთან სადოქტორო პროგრამების მიმართ და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან ფარმაციის მაგისტრის ან ექვივალენტური ხარისხის მქონე პირები და ეს ხორციელდება გამჭვირვალე, საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი პროცედურებით, რომლებიც ემყარება მსურველთა შეფასებას შესაბამის მისაღებ გამოცდაზე და ინგლისურ ენაში, B2 დონის ტესტით.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ უმეტესობაში სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ კომპლექსური ფარმაცევტული საკითხები და მათი

სისტემური მოგვარება სხვადასხვა კუთხიდან. სამეცნიერო პრობლემის დამოუკიდებლად ფორმულირების, ჰიპოთეზისა და პროცედურების შემოთავაზების უნარი დოქტორანტებს გამოუმუშავდებათ ექსპერიმენტული დისერტაციის მომზადების პერიოდში, რომელიც მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ხელმძღვანელობით.

დოკუმენტების (სადოქტორო პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში) ანალიზმა და ინტერვიუებისას შეკრებილმა ინფორმაციამ დაადასტურა პროგრამის სტუდენტზე ორიენტირებული ხასიათი. სწავლა-სწავლების მეთოდი, დაგეგმილია სტუდენტებში რეალური უნარების განვითარებისათვის, რაც გამოვლინდა დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან. ნათლად ჩანს,რომ დოქტორანტები იღებენ სათანადო დახმარებას აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და ხელმძღვანელების მხრიდან როგორც სასწავლო კურსების, ისე განსახორციელებელი კვლევითი მუშაობის, სადისერტაციო ნაშრომის დაწერისა და დაცვის პროცესში. დოქტორანტებს ეხმარებიან, ასევე, სამეცნიერო კომუნიკაციების განხორციელებაშიც, რათა წარმოდგენილი იყვნენ ეროვნულ თუ საერთაშორისო კონგრესებზე და/ან განახორციელონ პუბლიკაციები ადგილობრივ ან ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. უფრო მეტიც, თსსუ ხელს უწყობს და ეხმარება დოქტორანტებს ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, ისევე, როგორც კონფერენციებსა და კვლევით გაერთიანებებში მონაწილეობის მიღებაში.

სტუდენტთა შეფასება გამჭვირვალეა და შეესაბამება დადგენილ სწავლება-სწავლის მეთოდებს, ისევე, როგორც ევროპულ სტანდარებსა და კურსების სწავლის შედეგებს. დოქტორანტები კურსების დაწყებამდე არიან ინფორმირებულნი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. სწავლება-სწავლის მეთოდებისა და ევროპული სტანდარტების ადეკვატურია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევითი პროგრამის ორგანიზებადა შეფასება, რომლის მიზანია დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის დოქტორანტის გაწვრთნა. სადოქტორო კვლევითი პროექტები მიზნად ისახავენ ახალი მედიკამენტების, ისევე, როგორც მათი აქტიური ინგრედიენტების შემუშავებას, დახასიათებას და მათ თერაპიულ გამოყენებას. ასევე, მათი ეფექტის შესწავლას შესაბამის ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებზე ძუძუმწოვრებში ან სხვა მოდელურ ორგანიზმებში. დოქტორანტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას ობიექტებზე, რომლებზეც აქვთ წვდომა თსსუ-ში სწავლის პერიოდში და იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

სადოქტორო პროგრამის დირექტორმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაამტკიცეს, რომ ფლობენ დაგეგმილი სწავლის შედეგების განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციებს, პროფესიულ უნარებსა და გამოცდილებას. ასევე, დამტკიცდა და მოწონებულ იქნა მათი

ერთგულება სწავლის პროცესში დოქტორანტთა დახმარებისა და წახალისების მიმართ. სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია არა მხოლოდ ინდივიდუალური დამოკიდებულება, არამედ თსსუ-ს მიერ ორგანიზებული აქტივობები, ან აქტივობები, რომლებშიც თსსუ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს პროფესიული განვითარების მიზნით. ეს მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეგულარულ ტრენინგს "სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში" და მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგ კურსებსა და კონფერენციებში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში. გარდა ამისა, პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან სუსტი მხარეების აღმოფხვრის და პროგრამის აკრედიტაციისას მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების დაგეგმვის მიზნით.

კარგად აღჭურვილი ლაბორატორიების, საკლასო ოთახების და ბიბლიოთეკის (დიდი ოდენობის კომპიუტერული ტერმინალებით, უსადენო ინტერნეტით ხელმისაწვდომ ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებთან და თსსუ-ს რიგ მონაცემთა ბაზებთან, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს და დისერტაციების კოლექციას) არსებობა დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ თსსუ-ს ობიექტების მონახულებისას.

- **რეკომენდაციების რეზიუმე**

- **რჩევების რეზიუმე**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს ფარმაციაში წინა სადოქტორო პროგრამის განვითარების შედეგს, რომელიც გაუმჯობესდა თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების დღევანდელი მოთხოვნებისა და ნატურალური წარმოშობის მედიკამენტებისადმი საზოგადოებისა და საერთაშორისო ფარმაცევტული ბაზრის მზარდი ინტერესის გათვალისწინებით. ახალი სადოქტორო პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია ევროპული ფარმაკოპეის მოთხოვნებზე, რომელიც განსაზღვრავს ევროპაში ფარმაცევტული პროდუქტისადმი ხარისხის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოადგენს სასწავლო კურსების, სემინარების, ახალი კვლევითი პროექტების ინდივიდუალური განვითარების და შედეგების დისემინაციის კარგად ბალანსირებული კომბინაციის შედეგს, რაც ხორციელდება სამეცნიერო კომუნიკაციის გზით კონგრესებზე და/ან პუბლიკაციებით სამეცნიერო ჟურნალებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას გააჩნია მკაფიოდ დადგენილი მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება რეგულარულად.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი, ასევე, ასახავენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში (თსსუ) განხორციელებული სადოქტორო პროგრამა ფარმაციაში ემსახურება უნივერსიტეტებში, საჯარო და კერძო დაწესებულებებსა და ფარმაცევტულ ინდუსტრიაში მოწინავე კვლევითი აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო გამოცდილებისა და უნარების მქონე ახალგაზრდა მეცნიერების აღზრდას. განსაკუთრებული მსჯელობა მიეძღვნა ახალი მედიკამენტების შემუშავებასა და დახასიათებას, ისევე, როგორც მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ნატურალური რესურსების აქტიური ინგრედიენტების გამოკვლევას. თსსუ-ში ფარმაციის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს გააჩნიათ მათი კვლევითი დისციპლინის და დარგში მოწინავე კვლევების ჩატარებაში გამოყენებული მეთოდების სისტემური გააზრება. თსსუ-ში ფარმაციის ახალგაზრდა მეცნიერთა ფორმირება და სწავლება ორიენტირებულია კონკრეტულად საქართველოში, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებული ბოტანიკური მრავალფეროვნების ქვეყანას, არსებული ენდემური სამედიცინო მცენარეებში წარმოქნილი ბიოაქტიური სტრუქტურების სამეცნიერო შესწავლაზე. ნატურალური წყაროებიდან მიღებული თერაპიული მედიკამენტები, სუფთა სტრუქტურების თუ სტანდარტული ექსტრაქტების სახით, იძლევა ახალი, უსაფრთხო და ეფექტიანი მედიკამენტების შექმნის უსაზღვრო შესაძლებლობას, რადგან ეს მოთხოვნილია საზოგადოებისა და საერთაშორისო ფარმაცევტული ბაზრის მიერ. საბოლოო ჯამში, - სადოქტორო პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი; - სადოქტორო პროგრამის ორიენტაცია ენდემური სამედიცინო მცენარეებში წარმოქნილი ბიოაქტიური სტრუქტურების სამეცნიერო შესწავლაზე პოზიტიურია როგორც სამეცნიერო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით; - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს საგულდაგულო კვლევით ტრენინგს მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, რომლებიც გადამწყვეტია

თანამედროვე ფარმაციის მეცნიერებისათვის, ფარმაცევტული ინდუსტრიის, მთავრობისა და აკადემიური წრეებისათვის; - პროგრამა ისწავლება უაღრესად მრავალდისციპლინურ ატმოსფეროში; - დოქტორანტები მოსალოდნელია, რომ მოიპოვებენ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობასა და დაავადებებთან დაკავშირებული კვლევებისათვის, ისევე, როგორც მედიკამენტების შემუშავებისა და მიწოდებისათვის უსაფრთხო და ეფექტიანი თერაპიის ჩასატარებლად.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი სწავლის შედეგები წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის უმთავრეს ნაწილს და მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და კომუნიკაციურ კომპეტენციებს, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს თსსუ-ს სადოქტორო პროგრამაში. თეორიული და ფუნდამენტური კომპეტენციები მოიცავს სტუდენტის სამეცნიერო გამოცდილებისა და დისერტაციაზე წარმატებით მუშაობისათვის რელევანტური დისციპლინების დეტალურ ცოდნას. პრაქტიკული კომპეტენციები შედგება ექსპერიმენტული მონაცემების დაგეგმვის, აღსრულების და ინტერპრეტირების უნარისაგან, ფარმაცევტულ მეცნიერებაში გამოყენებული მეთოდების მეშვეობით ფარმაციაში და მომიჯნავე დისციპლინებში სამეცნიერო კვლევების გასატარებლად. პრაქტიკულ კომპეტენციებთან დაკავშირებული სწავლის შედეგები, ასევე, მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის და სხვა ინფორმაციის ათვისებისა და კრიტიკული ინტერპრეტაციის უნარს, მათ შორის შესაბამისი მონაცემთა ბაზების გამოყენებას. კომუნიკაციური კომპეტენციები ეხება სტუდენტების მიერ შეძენილ სამეცნიერო შედეგების დამოუკიდებლად პრეზენტაციის, ანალიზის, როგორც საკუთარი, ისე სხვისი შედეგების კრიტიკული განხილვის უნარს, ისევე, როგორც კონცეფციებისა და ექსპერიმენტული მონაცემების განხილვის უნარს კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან და კომპეტენტურ აუდიტორიასთან. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. მათ უმეტესობაში სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ კომპლექსური ფარმაცევტული საკითხების გამოკვლევა

და მათი სისტემური მოგვარება სხვადასხვა კუთხიდან. სამეცნიერო პრობლემის დამოუკიდებლად ფორმულირების და მის მოსაგვარებლად ჰიპოთეზისა და პროცედურების შემოთავაზების უნარი დოქტორანტებს გამოუმუშავდებათ დისერტაციის მომზადების პერიოდში, რომელიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიეროხელმძღვანელობით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდაა აღწერილი, ხოლო თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი პროგრამის კურიკულუმის რუკა ნათლად მიუთითებს თითოეული კურსის სწავლის შედეგების დონეს (იხ. ცხრილი N°3). დოკუმენტების (პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში) ანალიზითა და ინტერვიუების პროცესში შეგროვილი ინფორმაციით დასტურდება, რომ სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადიდაგაზომვადია.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები - პროგრამა - თვითშეფასების ანგარიში - ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან - პროგრამის კურუკულუმის რუკა - თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (ცხრილი #4 და #5)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამისშემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ევროპული სტანდარტების შესაბამისად სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან ფარმაციის მაგისტრის ან ექვივალენტური ხარისხის მქონე პირები და ეს, კი ხორციელდება გამჭვირვალე, საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი პროცედურებით, რომლებიც ემყარება მსურველთა შეფასებას შესაბამის მისაღებ გამოცდაზე, რომელიც მოიცავს ინგლისურ ენაში B2 დონის ტესტსაც. პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლამ და უნივერსიტეტის მენეჯმენტთან, თვითშეფასების გუნდთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამაზე დაშვების პროცედურები გამჭვირვალეა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, თვითშფასების გუნდთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა თანხვედრაშია ევროპულ სტანდარტებთან და შედგება სასწავლო კურსების, სემინარებისა და ფარმაციის სფეროში ორიგინალური კვლევითი პროექტის შემუშავებისგან. პროექტი წარმოადგენს დისერტაციის საგანს, რომელიც დოქტორანტმა უნდა დაწეროს და ამით დაადასტუროს სამეცნიერო საკითხებთან დამოუკიდებლად გამკლავების უნარი. პროგრამა წარმოადგენს ფარმაციის წინა სადოქტორო პროგრამის ევოლუციის შედეგს, რომელიც გაუმჯობესდა თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების უფრო მკაცრი მოთხოვნების და ნატურალური წარმოშობის მედიკამენტებში საზოგადოებისა და საერთაშორისო მედიკამენტების ბაზრის მზარდი ინტერესის შესაბამისად. ახალი სადოქტორო პროგრამა, ასევე, ორიენტირებულია ევროპული ფარმაკოპეის მოთხოვნებზე, რომელიც განსაზღვრავს ევროპაში ფარმაცევტული პროდუქტისადმი ხარისხის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა წარმოადგენს სასწავლო კურსების, სემინარების, ახალი კვლევითი პროექტების, ინდივიდუალური განვითარების და შედეგების დისემინაციის კარგად ბალანსირებული კომბინაციის შედეგს, რაც ხორციელდება სამეცნიერო კომუნიკაციის გზით კონგრესებზე და/ან პუბლიკაციებით სამეცნიერო ჟურნალებში. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ძლიერ ეთანხმება შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, რომელიც ლოგიკურია, ევროპული სტანდარტების შესაბამისი და მოსალოდნელია, რომ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან o თსსუ-ს ვებ-საიტი (http://new.tsmu.edu/images/dxp/sadoqtoro-programa-- 5afe69340970f.pdf)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 კურსი
➢ თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი სასწავლო კურსები მიზნად ისახავს ახალგაზრდა მეცნიერის ფორმირებას სოლიდურიგამოცდილებით ფარმაციის ძირითად დისციპლინებში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის დამოუკიდებლად განხორციელების საფუძველს. ამიტომ, პროგრამის კურსები მიზნად ისახავს სწავლებას და მსჯელობას ფარმაცევტული მეცნიერების და მონათესავე თემების უახლესი მიღწევების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას და შემუშავდა პროგრამის დაგეგმილი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის. სასწავლო კურსების უმეტესობაში სტუდენტებს შეუძლიათ შეისწავლონ კომპლექსური ფარმაცევტული საკითხების გამოკვლევა და მათი სისტემური მოგვარება. სამეცნიერო პრობლემის დამოუკიდებლად ფორმულირების და მის მოსაგვარებლად ჰიპოთეზისა და პროცედურების შემოთავაზების უნარი დოქტორანტებს გამოუმუშავდებათ დისერტაციის მომზადების პერიოდში, რომელიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ხელმძღვანელობით. თსსუ-ს ბიბლიოთეკა, თავისი ინტერნეტ წვდომით ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებზე, სახელმძღვანელოებზე და უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების კოლექციაზე, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სჯერათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კურსი შემუშავებულია პოზიტიური წვლილის შესატანად დაგეგმილი მიზნების მიღწევაში და შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o პროგრამის კურუკულუმის რუკა o თვითშეფასების ანგარიში o ადგილზე ვიზიტი (ბიბლიოთეკა და სხვა ობიექტები) o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი o ფაკულტეტს გააჩნია ხანგრძლივი გამოცდილება დიდი რაოდენობით უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და კულტურული გაცვლების გამოცდილება, მათ შორის ლიეჟის უნივერსიტეტთან (ბელგია), მარსელის ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), კვებეკის უნივერსიტეტთან (კანადა), ლიუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტთან (პოლონეთი) და ლიუბლიანის უნივერსიტეტთან (სლოვენია). ფაკულტეტი, ასევე, თანამშრომლობს საქართველოს რიგ კერძო და საჯარო დაწესებულებებთან, რომლებიც ოპერირებენ ფარმაცევტულ სფეროში. მათ შორის,

GMP-თან, ფარმაცევტულ კომპანიებთან, ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ დეპარტამენტთან და სხვ. გარდა ამისა, იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტი აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. სადოქტორო პროგრამა, ასევე, ადასტურებს, რომ სტუდენტებს შეუძლიათ კვლევითი აქტივობის ნაწილი განახორციელონ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის დაწესებულებებსა და კომპანიებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები ეთანხმებიან თსსუ-ს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის უცხოურ დაწესებულებებთან და საწარმოებთან გაცვლის იდეის მნიშვნელობს. მტკიცე თანამშრომლობა ეროვნულ და უცხოურ დაწესებულებებთან მოსალოდნელია, რომ გააუმჯობესებს დოქტორანტების მიერ არსებული ცოდნის კრიტიკულად გააზრებისა და ინოვაციური კვლევის მეთოდების და მიდგომების დამოუკიდებლად გამოყენების უნარს. ასევე, მოწონებულია დოქტორანტების მონაწილეობა ფარმაცევტული პრეპარატების მწარმოებელ ინდუსტრიაში მიმდინარე სამეცნიერო აქტივობებში და/ან ახალი პრეპარატების შექმნაში ევროპული ფარმაკოპეის მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლისმეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების (SCL) გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თითოეული აკადემიური კურსის სწავლისა და სწავლების მეთოდები სრულდება აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე დონის შესაბამისად და ეფუძნება დოქტორანტებზე ორიენტირებულ მეთოდებს, სასწავლო პროცესში სტუდენტების ინტერაქტიული ჩართულობით. სწავლისა და სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს დოქტორანტების პერსონალურ საჭიროებებს. ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე ზეპირი ან პლაკატური კომუნიკაციები წარმოადგენს სწავლისა და სწავლების მეთოდების ნაწილს, ისევე, როგორც დარგის სათანადო ლიტერატურის ძიება და დამუშავება და ექსპერიმენტულ კვლევით აქტივობებში ჩართულობა. სწავლისა და სწავლების მეთოდები, რომლებიც წარმოჩინდა დოკუმენტებში (პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში) და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებში, შემუშავებულია სტუდენტთა მომსახურებისათვის არა მხოლოდ როგორც სამეცნიერო განვითარებისმექანიზმი, არამედ მათი რეალური უნარებითაღსაჭურვად. ნათლად იქნა წარმოჩენილი,რომ დოქტორანტები იღებენ სათანადო დახმარებას აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და ხელმძღვანელების მხრიდან როგორც სასწავლო კურსების, ისე განსახორციელებელი კვლევითი მუშაობის, სადისერტაციო ნაშრომის დაწერისა და დაცვის პროცესში. პროგრამის პერსონალი ეხმარება სტუდენტებს სამეცნიერო კომუნიკაციების განხორციელებაშიც, რათა წარმოდგენილნი იყვნენ ეროვნულ თუ საერთაშორისო კონგრესებზე და/ან განახორციელონ პუბლიკაციები ადგილობრივ ან ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. უფრო მეტიც, თსსუ ხელს უწყობს და ეხმარება დოქტორანტებს ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში, ისევე, როგორც კონფერენციებსა და კვლევით გაერთიანებებში მონაწილეობის მიღებაში.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან o ადგილზე ვიზიტი (თსსუ-ს ბიბლიოთეკა და სადოქტორო დისერტაციების მონაცემთა ბაზები)
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესოპ რაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6 სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხდება მათი სწავლის ბოლოს და ეს შეფასება ხდება დადგენილი სწავლისა და სწავლების მეთოდების, ისევე, როგორც ევროპული სტანდარტების შესაბამისად. სწავლაში სტუდენტთა პროგრესის შეფასება დოქტორანტურის 3-წლიანი პერიოდის განმავლობაში ხორციელდება თსსუ-ს წესების თანახმად. სადოქტორო პროგრამის ანგარიშები წარმოადგენს შუალედურ და საბოლოო შეფასებებში გამოყენებული დათვლის მეთოდების ზუსტ ილუსტრაციას. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გამოთვლა წარმოებს გამჭვირვალე მეთოდით თსსუ-ში მოქმედი კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. სადოქტორო პროგრამაში სტუდენტთა შეფასება (შუალედური შეფასება) ეფუძნება რიგ კომპონენტებს, რომლებიც მოიცავს აკადემიურ აქტივობებს, პრაქტიკულ უნარებს, მონაწილეობას სამუშაო ჯგუფებში და შუალედურ გამოცდას. სტუდენტთა შეფასება წარმოებს გამჭვირვალედ, ხოლო შეფასების მეთოდები კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისია. დოქტორანტები კურსების დაწყებამდე არიან ინფორმირებულნი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. ასევე, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და ევროპული სტანდარტების ადეკვატურია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევითი პროგრამის ორგანიზაცია და შეფასება, რომლის მიზანია დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის დოქტორანტის გაწვრთნა. სადოქტორო კვლევითი პროექტები მიზნად ისახავენ ახალი მედიკამენტების, ისევე, როგორც აქტიური ინგრედიენტების შემუშავებასა და დახასიათებას და მათ თერაპიული გამოყენებას. ასევე, მათი ეფექტის შესწავლას შესაბამის ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებზე ძუძუმწოვრებში ან სხვა მოდელურ ორგანიზმებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოიწონეს შეფასების პროცედურები, რომლებიც შეესაბამება სწავლისა და სწავლების მეთოდებს და იცავს მოთხოვნებს.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
- თსსუ-ს ვებ-საიტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არააშესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადა ორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისათვის რელევანტური მომსახურებების უზრუნველყოფით; პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას აღნიშნული მომსახურებების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
სტუდენტებიბიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა შეიმუშავა მნიშვნელოვანი რეგულაციები დოქტორანტების სტატუსის სამართავად და სწავლის პროცესისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, სტუდენტები ადეკვატურად არიან ინფორმირებულნი მათ მიერ მოსაპოვებელი კომპეტენციების თაობაზე, ისევე, როგორც შესაძლო კარიერულ განვითარებაზე, რომელიც მოიცავს მეცნიერის პროფილს აკადემიურ და ინდუსტრიულ გარემოში. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას ობიექტებზე, რომლებზეც აქვთ წვდომა სადოქტორო პროგრამის განხორციელებისას, მუდმივად იღებენ ინფორმაციას კვლევითი პროექტების დაფინანსების კონკურსებზე და უშუალო კონტაქტში არიან პოტენციურ დამსაქმებლებთან. დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა დამატებითი ობიექტები, მათ შორის დისტანციური სწავლების World Wide Web (WWW) შეთავაზება მათი ცოდნის გასაღრმავებლად. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებული ყვნენ, რომ დოქტორანტები იღებენ შესაბამის დახმარებას სწავლის დაგეგმვის დაა კადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით. ისინი იწონებენ თსსუ-ს განსაკუთრებულ ძალისხმევას სტუდენტთათვის ვრცელი ინფორმაციის მიწოდებაში ობიექტებისა და თსსუ-ს შეთავაზებების შესახებ, რაც გამოვლინდა დოკუმენტაციიდან (პროგრამა და თვითშეფასების ანგარიში) და ინტერვიუებიდან უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. კერძოდ, პოზიტიურია თსსუ-ს როლი დოქტორანტების უშუალო კონტაქტებისა და პროფესიული ურთიერთობების დამყარებაში ფარმაცევტულ ინდუსტრიასთან, რომლებიც არიან ან პარტნიორები სამეცნიერო თანამშრომლობაში ან პოტენციური დამსაქმებლები სწავლის დამთავრების შემდეგ. ზემოხსენებული დოკუმენტაცია და ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, ასევე, ადასტურებენ თსსუ-ს მნიშვნელოვან ჩართულობას სტუდენტთა დახმარებაში, რომლებიც დაინტერესებულნი

არიან ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობაში. ზოგიერთი ზემოხსენებული აქტივობა ხორციელდება თსსუ-სა და ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაციას (EPSA), სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასა და ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციას შორის ოფიციალური ხელშეკრულების ფარგლებში. გარდა ამისა, თსსუ-საკუთარი ბიუჯეტიდან სთავაზობს ფინანსურ დახმარებას საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ასევე, ღირებულია თსსუ-ს დახმარება დოქტორანტთა რეკრეაციული აქტივობის დახმარებაში, რომელიც ხორციელდება სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასთან და ინტელექტ-კლუბთან თანამშრომლობით.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან o თსსუ-ს ვებ-საიტი
რეკომენდაციები:
რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის:
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიან/დაპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კარგად განსაზღვრული წესები კვლევითი პროექტების მომზადების პროცესის რეგულირებისათვის, რომელიც უნდა განახორციელოს დოქტორანტმა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. შესაბამისად, დოქტორანტები ახორციელებენ კვლევით პროექტს (მინიმუმ) სამი წლისგანმავლობაში სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით, რომელიც შესაძლოა იყოს სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუსი. კვლევით პროექტზე მუშაობას დოქტორანტები იწყებენ დადგენილი რეგულაციების თანახმად მისი მომზადებისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ თანხმობის მიღების შემდეგ. სადოქტორო პროგრამის პირველი და მეორე წლის ბოლოს, დოქტორანტს მოეთხოვება ანგარიშის ჩაბარება თსსუ-სათვის პროექტის მსვლელობის თაობაზე. ხელმძღვანელები უტარებენ დოქტორანტებს რეგულარულ კონსულტაციებს და აძლევენ რჩევებს კვლევითი პროექტის შესაბამის ორგანიზებასა და განხორციელებაზე. პროგრამის ბოლოს დოქტორანტებს მოეთხოვებათ სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დასრულება და დისერტაციის წარდგენა, რომელიც აღწერს კვლევით პროექტს და მისი განხორციელებისას მიღებულ შედეგებს. დისერტაცია ფასდება სადისერტაციო საბჭოს მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებიდან ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც რეგულარულ კონსულტაციებს უწევენ მათ და ეხმარებიან კვლევითი პროექტის განხორციელებაში. ასევე, მნიშვნელოვანია დოქტორანტთა წახალისება და დახმარება ხელმძღვანელების მხრიდან მათი ნაშრომის წარდგენაში ეროვნულ და საერთაშორისო კონგრესებსა და გამოქვეყნებაში, განსაკუთრებით ინდექსირებულ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში. ხელმძღვანელები ინფორმირებულნი არიან გარკვეულ უპირატესობებზე, რაც შესაძლოა დოქტორანტებმა მიიღონ კონგრესებში, განსაკუთრებით საერთაშორისო დონის კონგრესებში, მონაწილეობიდან. ასეთი უპირატესობა მოიცავს საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერებთან საკუთარი კვლევითი პროექტის შედეგებისა და პერსპექტივების განხილვის, ახალი კონტაქტების და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობებს, რასაც შედეგად შესაძლოა მოჰყვეს დაფინანსებულ

პროექტებში მონაწილეობა. უაღრესად პოზიტიურია ხელმძღვანელთა მხრიდან დოქტორანტთა წახალისება და დახმარება მათი კვლევითი პროექტის ნაწილის უცხოურ უნივერსიტეტში ან სხვა კვლევით დაწესებულებაში განხორციელების საკითხში, ასევე, დახმარება მიწვეულ სტუდენტთა სტიპენდიების მოპოვებაში.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o გასაუბრება ხემძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევებიდაინდივიდუალური მუშაობამათთან	√			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანურირესურსები
➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ სტუდენტების დასახმარებლად საჭირო ყველა იმ კომპეტენციას, რას აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი სადოქტორო პროგრამა ფარმაციაში განსაზღვრავს, რომ იგი ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ საჭირო კომპეტენცები და კვალიფიკაცია. სადოქტორო პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად 2014 წლიდან თსსუ-მ გააქტიურა რამოდენიმე "მასწავლებელთა ტრენინგ" კურსი სამედიცინო განათლების ცენტრში და დაადგინა, რომ ამ კურსებზე დასწრება წარმოადგენს აუცილებელ პირობას "მოწვეული მასწავლებლის" სტატუსის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, თსსუ ეხმარება აკადემიურ პერსონალს პროფესიული უნარების განვითარებაში, მათ საერთაშორისო ღონისძიებებში (კონგრესები, სამეცნიერო გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები და სხვ.) მონაწილეობის წახალისებითა და დახმარებით.

სადოქტორო პროგრამის დირექტორმა, ისევე, როგორც აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაამტკიცა, რომ ფლობენ დაგეგმილი სწავლის შედეგების განვითარებისათვის საჭირო კომპეტენციებს, პროფესიულ უნარებსა და გამოცდილებას. ასევე, ექსპერტთაჯგუფისწევრებისმიერდამტკიცდა და მოწონებულ იქნა პროგრამის პერსონალის ერთგულება სწავლის პროცესში დოქტორანტთა დახმარებისა და წახალისების მიმართ. სადოქტორო პროგრამის მნიშვნელოვანი ასპექტია არა მხოლოდ ინდივიდუალური დამოკიდებულება, არამედ თსსუ-ს მიერ ორგანიზებული აქტივობები, ან აქტივობები, რომლებშიც თსსუ-ს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს პროფესიული უნარების გაუმჯობესების მიზნით. ეს მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეგულარულ ტრენინგს "სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში" და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგ კურსებსა და კონფერენციებში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ასევე,მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში. გარდა ამისა, პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან სუსტი მხარეების აღმოფხვრის და პროგრამის აკრედიტაციისას მიღებული ღირებული რეკომენდაციების გათვალისწინების დაგეგმვის მიზნით.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o ინტერვიუპროგრამისდირექტორთან o ინტერვიუებიუნივერსიტეტისწარმომადგენლებთან. o თვითშეფასებისანგარიში o ადგილზევიზიტისგანხორციელება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პროგრამის წარმატებული განხორციელებისათვის პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი რეგულარულად გადის ტრენინგს "სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში" თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მასწავლებელთა ტრენინგ ცენტრში. მიმდინარე წლიდან (2019წ) თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის დეპარტამენტი ერთობლივად ატარებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებას. შეფასება ხორციელდება ელექტრონულ ფორმატში, პროგრამის “SurveyMonkey” გამოყენებით. აკადემიური პერსონალის განვითარების შემდგომი ინიციატივები მოიცავს მონაწილეობას საერთაშორისო და ეროვნულ ღონისძიებებში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა პოზიტიურად შეაფასეს თსსუ-ს ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და პროფესიული უნარების განვითარებას. მათი ჩართულობა საკლასო სწავლებაში, რჩევები დოქტორანტებისათვის მათ კვლევით საქმიანობაში, კურიკულუმის განვითარებაში შეფასების მეშვეობით და დახმარება სტუდენტთა
რეკრუტირებაში - არის გადამწყვეტი სადოქტორო პროგრამის წარმატებული განხორციელებისათვის. ამის გამო, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა მოსალოდნელია, რომ გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს, უნივერსიტეტის სამეცნიერო დონეს, ისევე, როგორც ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამის წარმატებულ განხორციელებას.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიან/დაპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თვითშეფასების ანგარიში დეტალურად აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას და ტექნიკურ აღჭურვილობას. აღწერილი ინფრასტრუქტურისა და სამეცნიერო ინსტრუმენტებისუმეტესობა, მათ შორის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები, სადაც მიმდინარეობს ექსპერიმენტები, დათვალიერებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ. ადგილზე ამ ვიზიტმა საშუალება მისცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, რომ დარწმუნებულიყვნენ სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ყველა არსებულიინფრასტრუტურისა და სამეცნიერო აპარატურის ხელმისაწვდომობაში. თსსუ-ში განხორციელებულმა ტურმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა უსადენო კავშირით ინტერნეტთან, კომპიუტერული ტერმინალების დიდ რაოდენობა და ინტერნეტ-წვდომა ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებთან. ასევე,ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია თსსუ-ს რიგი მონაცემთა ბაზები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს და თსსუ-ში დაცული სადოქტორო ნაშრომების კოლექციას. გარდა ამისა, ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია შეხვედრებისა და ღონისძიებების გასამასპინძლებლად. ყველა სამეცნიერო ლაბორატორია აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ინსტრუმენტებით, იარაღებითა და ჭურჭლით. ზოგიერთ ლაბორატორიაში, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური გამოკვლევებისათვის გამოსადეგი მოწინავე ინსტრუმენტები, როგორებიცაა მაღალი სიზუსტის თხევადი ქრომატოგრაფიის დანადგარი, აღჭურვილი ოტოდიოდური წყობის დეტექტორით (HPLC-DAD), რომელიც კომუნალურად გამოიყენება რთული ხსნარების კომპონენტების იზოლაციისა და იდენტიფიკაციისათვის, როგორიცაა სამედიცინო მცენარეებიდან გამოყოფილი ბიოაქტიურ მცენარეთა მეორადი მეტაბოლიტები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ კვლევითი პროექტების შემთხვევაში, რომლებიც საჭიროებენ თსსუ-ში არახელმისაწვდომ სპეციალურ და ძვირადღირებულ აპარატურას, როგორიცაა ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული (NMR) სპექტრომეტრი, პროექტები ხორციელდება სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რომელთაც ეს აპარატურა გააჩნია.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები o ტური თსსუ-ს ობიექტებზე (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, საკლასო ოთახები) o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან o პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის:
საუკეთესოპრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანიმიღწევებიან/დაპროგრესი (მოქმედიაკრედიტებულიპროგრამისშემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თსსუ თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სადოქტორო პროგრამა "ფარმაცია" ფინანსდება საკუთარი შემოსავლებით, გრანტებითა და/ან სპონსორების დახმარებით. ინტერვიუებმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან და პროგრამის ხელმძღვანელთან დაადასტურა სადოქტორო პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან
სწავლებ ისრესურ სებითუ ზრუნვე ლყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თსსუ-ს დაგეგმილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია, მისი წესების შესაბამისად და სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობით. სადოქტორო კვლევის, სილაბუსების, სამეცნიერო პუბლიკაციების და საგანმანათლებლო პროგრამის სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები შემუშავებულ იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ. თვითშეფასების ანგარიშისშეფასებამ და ინტერვიუებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთანდაადასტურა, რომ პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ჩამოსაყალიბებლად. დაგეგმილი პროცესის შედეგია ის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პერიოდულ შეფასებებს შემდეგი გრაფიკის შესაბამისად: საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კომპონენტების შეფასება (განსაკუთრებით სილაბუსების) არანაკლებ ერთხელ აკადემიური წლის განმავლობაში; სტუდენტთა შეფასებას არანაკლებ ერთხელ სემესტრის განმავლობაში; პროგრამის პერსონალის შეფასება და თვითშეფასება დადგენილი ფორმითა და

პერიოდულობით. შეფასების კრიტერიუმები და პერიოდულობა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში, o პროგრამა. o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თვითშეფასების ანგარიში აღწერს განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობისათვის გარე მექანიზმებს - ავტორიზაციას და აკრედიტაციას, საქართველოს კანონების "უმაღლესი განათლების შესახებ" და "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" თანახმად. ხარისხის შეფასების გარე მექანიზმი ემყარება "საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას" და "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას". ეს დოკუმენტაცია და ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ადასტურებს, რომ თსსუ წარადგენს ინფორმაციას თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების ანგარიშის ფორმით, დადგენილი პერიოდულობითა და ვადების გათვალისწინებით. სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალი თსსუ-ს წესების თანახმად ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მსვლელობაში ექსპერტებისაგან მიღებულ რეკომენდაციებს და ახორციელებს სათანადო ცვლილებებს პროგრამაში.
მტკიცებულელებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

5,3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი თვითშეფასების ანგარიში აღწერს თსსუ-ს სადოქტორო პროგრამის პერიოდული შეფასებისა და მონიტორინგის კრიტერიუმებს, სისტემატურად შეკრებილი, გადამუშავებული და გაანალიზებული მონაცემების გამოყენებით. კრიტერიუმები დადგინდა უნივერსიტეტის წარმომადგენლების (აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კრსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მონაწილეობით. პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის გასაუმჯობესებლად. თვითშეფასების ანგარიშის შეფასებამ და ინტერვიუებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ პროგრამა "ფარმაციის" მონიტორინგი და შეფასება განხორციელდა ბაკალავრიატის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით, რომლებმაც პასუხი გასცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ კითხვარს. კითხვარი მიეწოდათ ელექტრონულად სპეციალურიპროგრამის (SurveyMonkey) მეშვეობით, რომელიც კრებს, ამუშავებს და აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას. კითხვარის პასუხების შედეგად პროგრამა პოზიტიურად იქნა შეფასებული სტუდენტებისა და დამსაქმებლების მიერ, თუმცა ამ უკანასკნელებმა გამოთქვეს რამოდენიმე რეკომენდაცია. მათგან ზოგიერთი გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა კმაყოფილება გამოთქვეს პროგრამის უწყვეტი შეფასების გამო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის იგივე პროცესიიქნება გამოყენებული აკრედიტაციის შემდეგი ეტაპის განმავლობაში.

მტკიცებულელებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობისშემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

სადოქტორო პროგრამა "ფარმაცია"

დასკვნისგვერდებისრაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში ამოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არააშესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



დანილო კორადინი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნანა შაშიაშვილი

ნინო ბარათაშვილი

ლანა ბოკუჩავა